

პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საკანონმდებლო ბაზა:

საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული სტანდარტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს:

ა) ყველა სამედიცინო დაწესებულებაში: სტაციონარი·
ამბულატორია

- დიაგნოსტიკური ცენტრი
- პირველადი ჯანდაცვის ობიექტები
- რეაბილიტაციის ცენტრები
- ესთეტიკური ცენტრები· გადაუდებელი დახმარების ცენტრები
- სასწრაფო გადაუდებელი ცენტრები

ბ) სხვადასხვა ინსტიტუციაში:

- ბინაზე მომსახურება/პატრონაჟი
- პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა, მოხუცთა სახლები)
- პალიატიური მზრუნველობის ცენტრები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები

- კვების ობიექტები · გ) ჯანდაცვის ორგანიზაციაში ჯანდაცვის სამინისტრო

პროგრამის მიზანი:

მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით. სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საექთნო პროცესის მართვა
- კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღომისძიებების დაცვა
- სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა
- პროფესიული სტუდენტის

მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

მოცულობა 138 კრედიტი · ქართულენოვანი სტუდენტებისათვის

168 კრედიტი არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის

სავარაუდო ხანგრძლივობა:

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 25 სასწავლო თვე

• არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 30 სასწავლო თვე

· თეორიული სწავლება იწარმოებს შპს სიო-ს ,თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ მატერიალურ ტექნიკურ ბაზაზე (მულტიფუნქციური მანეკენები და სხვადასხვა სიმულატორები), სადაც თეორიული სწავლება გადაზრდილია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში, რაც გარანტიას იმისა რომ ჩვენიკურსდამთავრებულები იქნებიან მაღალი კვალიფიციკაციის სპეციალისტები, რაც ობიექტურად გაზრდის მათი შემდგომი დასაქმების შესაძლებლობას.

ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან შესაძლებელია როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული უნარ ჩვევების ათვისება რაც მნიშვნელოვნად ზრდის ჩვენ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს

პრაქტიკოსი ექთანი 090552

I. სფეროს აღწერა

პრაქტიკოსი ექთანი არის ჯანდაცვის მიმართულების საექთნო საქმის დარგის კვალიფიკაცია, მას ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ერთ-ერთი საკვანძო და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი დანიშნულებაა ნებისმიერი ასაკის ინდივიდების, ოჯახების, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ან/და თემის ჯანმრთელობის დაცვა და დაავადებათა პრევენცია, ჯანმრთელობის აღდგენა-შენარჩუნებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მეშვეობით. პრაქტიკოსი ექთანი გადამწყვეტ როლს ასრულებს ავადობა-სიკვდილობის მინიმინზაციაზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებასა და ეფექტურობის უზრუნველყოფაში.

პრაქტიკოსი ექთნის საქმიანობა ასევე მოიცავს ავადმყოფთა, უნარშეზღუდულთა ანდა ტერმინალურ პაციენტთა მოვლას/მართვას.

საექთნო საქმის თეორიის, საბაზისო სამედიცინო და ქცევითი მეცნიერებების ცოდნისა და ძირითადი კლინიკური უნარების პრაქტიკაში გამოყენების მეშვეობით პრაქტიკოსი ექთანი ადექვატურად პასუხობს მოსახლეობის ჯანდაცვის მუდმივად ცვლად საჭიროებებს და ავლენს ახალ გამოწვევებზე რეაგირების უნარს. სიცოცხლის მანძილზე სწავლა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მზადყოფნა – პრაქტიკოსი ექთნის ერთ-ერთი ძირითადი კომპეტენციაა.

სამედიცინო მიღწევები და თანამედროვე ტექნოლოგიები პრაქტიკოსი ექთნისგან მოითხოვს მაღალი დონის პროფესიულ ცოდნას, უნარებს, დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს, რასაც უზრუნველყოფს ქვეყნის ჯანდაცვის პრიორიტეტებზე, ეპიდემიოლოგიურ, დემოგრაფიულ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებზე ორიენტირებული და მტკიცებითი მედიცინის პრინციპებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამა.

II. დასაქმების სფერო

პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს, ჰოსპისებს, ეთიკურ კომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს.

III. დამატებითი მოთხოვნები:

- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი (V). შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 150 კრედიტს, აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

კურსდამთავრებულს ენიჭება პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

V. პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად ასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლს, მისიას და ფუნქციებს;
- იცის და გაცნობიერებული აქვს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები;
- იცის საექთნო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ- პოლიტიკური ასპექტები;
- იცნობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის დანიშნულება;
- იცნობს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული აქვს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;
- უზრუნველყოფს პაციენტთა ტრიაჟს, პირველად საექთნო შეფასებას და მონიტორინგს;
- ფლობს გადაუდებელი მედიცინის საფუძვლებს (BLS, ACLS, PHTLS, ATLS);
- იცნობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს;
- იცნობს ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს;
- გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში;
- იცის მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეუძლია: • კლიენტის/პაციენტის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური მოვლის/მართვის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა;

- კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის ნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობა, ტრიაჟი და პირველადი საექთნო შეფასება, ადექვატური ინტერპრეტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება;
- კლიენტის/პაციენტის სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების დროული შეფასება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება; • პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა;
- კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, საექთნო შეფასების, პრობლემის იდენტიფიცირების, გეგმის შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის საფუძველზე;
- კლიენტის/პაციენტის მართვის გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ინვაზიური ჩარევებისა და არაინვაზიური პროცედურების მოვლა/ წარმოება;
- მასზე დელეგირებული სამკურნალწამლო და სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის განადგურება უსაფრთხოების წესების დაცვით;
- კლიენტის/პაციენტის ღირსების, უფლებების დაცვა, ადვოკატირება და ასოცირებული ინფორმაციის კონფიდენციალობის უზრუნველყოფა;
- კლიენტის/პაციენტის, ოჯახის წევრების ანდა მომვლელის ინფორმირება და განათლება, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- სამედიცინო გუნდში ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა;
- დაქვემდებარებული ადამიანური რესურსების ეფექტური სწავლება/განათლება, მართვა, ფუნქციების ადექვატური დელეგირება;
- შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა, დაცვა, გადაცემა და გავრცელება;
- საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სკრინინგ-ტესტების, ადექვატური პრევენციული ღონისძიებების ანდა იმუნიზაციის წარმოება;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.

დასკვნის უნარი:

უნარი შესწევს: • დროულად ამოცნოს კლიენტის/პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი; შესაბამისი კორექტივები შეიტანოს მოვლის/მართვის გეგმაში და ცვლილებები შეათანხმოს სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან;

• ამოცნოს კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად, გადაუდებელი საჭიროებების შემთხვევაში კი - დამოუკიდებლად.

კომუნიკაციის უნარი:

- უნარი შესწევს მშობლიურ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს სამედიცინო პერსონალთან, ჯანდაცვისა და სოციალურ მუშაკებთან, კლიენტებთან/პაციენტებთან და სხვა ინდივიდებთან, თუ ინდივიდთა ჯგუფებთან საექთნო საქმის ეფექტური განხორციელების მიზნით;
- იგი ფლობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს მშობლიურ და უცხოურ ენებზე წარმოებული ინფორმაციის მოპოვების, ასევე დამუშავების, შენახვისა და საჭიროების შემთხვევაში, გავრცელებისა და დემონსტრირების მიზნით;
- იგი იყენებს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოებისთვის, შენახვისა და დაცვისთვის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, გადაცემისა და გავრცელებისთვის; აღნიშნული კომპეტენცია მას შეუძლია განხორციელოს როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენებზე;
- უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს. აქვს პრეზენტაციის უნარი.
- იგი წარმატებით იყენებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით.

სწავლის უნარი:

- შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლია მოძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას.

ღირებულებები:

- მოქმედებს საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად;
- მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას;
- კრიტიკულად უდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ადეკვატურ პროფესიულ შენიშვნებს, მითითებებსა და რეკომენდაციებს;
- აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას.

ექთნის თანაშემწე 090551

I. სფეროს აღწერა:

საექთნო საქმე მიეკუთვნება ჯანმრთელობის დაცვის სფეროს. ექთნის თანაშემწე არის სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს ექთნის ან/და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. მისი საქმიანობა მოიცავს ზედამხედველობის ქვეშ ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებების მქონე, ასევე უნარშეზღუდულ და ტერმინალურ პაციენტებზე ზრუნვას; პრევენციულ და სხვა ტიპის ჯანდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობას.

II. დასაქმების სფერო

მოსავლელი პირის ინდივიდუალური (ასაკობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური) და დაავადების თავისებურებათა გათვალისწინებით ექთნის თანაშემწე შეიძლება დასაქმდეს: სტაციონარში, ჰოსპისში, ბინის პირობებში ან/და მომვლელად მგზავრობა-მოგზაურობის დროს; ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებაში (მოხუცთა თავშესაფარი, ბავშვთა სახლები); ბინაზე მოვლის სამსახურში

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ექთნის თანაშემწის პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი (III). შემუშავებულია საფეხურისათვის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 90 კრედიტს. კრედიტების არანაკლებ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

ცოდნა და გაცნობიერება:

- იცის ურთიერთობის ფსიქოლოგია;
- იცის პალატიური მზრუნველობის არსი;
- იცის საკუთარი თავის დაცვა ინფექციის კერაში მუშაობისას;
- ფლობს ბიოლოგიურ მეცნიერების (ადამიანის ნორმალური ანატომიის, ფიზიოლოგიის, მიკრობიოლოგია, ეპიდემიოლოგიის) საფუძვლებს ;
- გაცნობიერებული აქვს საექთნო მოვლის ასისტირების მიზნები და ამოცანები;
- ფლობს ასისტირების ძირითად საშუალებებს, ფორმებსა და მეთოდებს;
- აქვს ინფორმაცია წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტების შესახებ;
- იცის პირველი გადაუდებელი დახმარება;
- იცის ინფექციის კონტროლი;

- იცის სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეუძლია: • მოვლის პროცესში პაციენტის ასაკის, დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინება;

- პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში;
- დეზინფექციის ჩატარება (კონცენტრირებული ხსნარების დამზადების წესის ჩათვლით); • სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა (სირთულის მიხედვით);
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა;
- საკუთარი სამუშაოს გეგმის შედგენა და მისი თანწყობა სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან;
- ფიზიკური საჭიროებების იდენტიფიცირება;
- პაციენტის უფლებების დაცვა;
- დღიურის წარმოება და ინფორმაციის შენახვა;
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარება;
- მოსავლელი პირის კვება, დაბანა, აბაზანის გაკეთება, ჩაცმა, საწოლის გამზადება, ტრანსპორტირება;
- გარეგანი მანიპულაციების ჩატარება;
- ნაწოლების პრევენცია; დაინფიცირებული ჭრილობის, წყლულების, ნაწოლების მოვლა; • განავლის მიმღები და შარდმიმღები სისტემების გამოცვლა, უტილიზაცია;
- მწოლიარე პაციენტისათვის მოსახერხებელი გარემოს შექმნა, თეთრეულის გამოცვლა;
- ექიმის ან ექთნის დახმარება დესმურგის მიმდინარეობისას;
- დახმარება წამლების დარიგების დროს;
- სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი;
- პროპერაციულად პაციენტის მომზადება (კანის ჰიგიენა, ანტისეპტიკური დამუშავება);

დასკვნის უნარი:

შეუძლია: • ექთნის/ექიმის ინფორმირება პაციენტის მიერ წამლის მიღების რეჟიმის დარღვევის, ზედოზირების, უეცარი შეწყვეტის, ან ერთი წამლის მეორეთი თვითნებურად ჩანაცვლების შემთხვევაში;

- ექთნის ან მკურნალი ექიმის შენიშვნების გათვალისწინება. საჭიროების შემთხვევაში საკუთარი პოზიციის დაცვა;

- პრობლემურ ან ფორსმაჟორულ სიტუაციაში მიზეზშედეგობრივი კატეგორიებით აზროვნება, გადაწყვეტილების ეფექტურად და სწრაფად მიღება და ამის შესახებ ექთნის/ექიმის ინფორმირება;

კომუნიკაციის უნარი:

- უნარი შესწევს წაიკითხოს და გაიზროს აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაცია, შინაგანაწესი, ხელშეკრულება და სხვა საჭირო ინფორმაცია;
- შეუძლია კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. წევრებთან, მედპერსონალთან;
- უნარი აქვს ყურადღებით მოისმინოს სხვისი საუბარი, მოსმენილი გაიზროს და საჭიროებისას დააზუსტოს;
- შეუძლია მარტივი ტექსტების გაგება უცხოურ ენაზე;
- შეუძლია მარტივი მათემატიკური გამოთვლების ჩატარება;
- შეუძლია პაციენტის მოვლაზე, მანიპულაციებზე და სხვა პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია განსხვავებულ სიტუაციებში;
- უნარი შესწევს მოიძიოს პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაცია მშობლიურ და უცხოურ ენაზე. შეუძლია ამ ინფორმაციის გააზრება, კომუნიკაცია. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს პროფესიულ საქმიანობაში;

სწავლის უნარი:

- ფლობს კომპიუტერიულ საოფისე პროგრამებს. სწავლის უნარი შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.
- შეუძლია მითითებული ლიტერატურის მეშვეობით სწავლა;
- შეუძლია, სხვისი ხელმძღვანელობით და რჩევების გათვალისწინებით განსაზღვროს შემდგომი სწავლის პერსპექტივები;
- შეუძლია საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება და ზრუნვა პროფესიული განვითარებისათვის;

ღირებულებები:

- იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს, მოქმედებს მათ შესაბამისად;
- შეუძლია, პროფესიული პრობლემის წამოჭრისას გულისყურით მოეკიდოს საკითხს;
- კრიტიკული სიტუაციის დროს არ კარგავს კეთილგანწყობას პაციენტის მიმართ.

მასაჟისტი 090651

I. სფეროს აღწერა:

მასაჟისტის საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მომსახურებათა მნიშვნელოვანი ქვესისტემაა. იგი მოიცავს: სამკურნალო მასაჟს; სპორტულ მასაჟს; ჰიგიენურ მასაჟს.

II. დასაქმების სფერო

მასაჟისტი არის სამედიცინო პერსონალი, რომელსაც შეუძლია მუშაობა - სხვადასხვა სახის ავადმყოფობის მქონე პაციენტთა სამედიცინო რეაბილიტაციის ყველა: ჰოსპიტალურ, კონვალესცენტურ და პოსტკონვალესცენტურ ფაზაში. მასაჟისტი შეიძლება დასაქმდეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში: საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, დისპანსერებში, სანატორიუმებში, სპორტულ გუნდებში, ბალეტისა და ცეკვის ანსამბლებში, ჰიგიენური პროფილის სალონებში, სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, ბავშვთა და ინვალიდთა სახლებში, პანსიონებში. მასაჟისტს შეუძლია ექიმ-რეაბილიტოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ბინაზე მომსახურება.

III. დამატებითი მოთხოვნები:

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება და მინიმალური ასაკი 18 წელი
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია:

მასაჟისტის პროფესიული განათლება არის ორსაფეხურიანი (III, IV). თითოეული საფეხურის პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით. მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი. მასაჟისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს არანაკლებ 45 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მასაჟისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

V. მასაჟისტის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი:

ცოდნა და გაცნობიერება

იცის: • ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგიის საფუძვლები

- დაავადების ეტიოლოგია და პათოგენეზი
- პაციენტის ჩართვა სამედიცინო ღონისძიებებში, რომელიც მიმართული იქნება პათოლოგიური პროცესების განვითარების პრევენციისთვის, რაც უზრუნველყოფს

დროებით და მყარ შრომისუნარიანობას, ეფექტურ და დროულ დაბრუნებას საზოგადოებაში;

- სამედიცინო მასაჟის ამოცანები და მეთოდები ორგანოსისტემებზე ზემოქმედებისათვის (სისხლისმიმოქცევისა და ლიმფურ სისტემაზე, კანზე, კუნთოვან სისტემაზე, შემაერთებელ ქსოვილზე, ნერვულ სისტემაზე, შინაგან ორგანოებზე და მთლიანად მთელ ორგანიზმზე ზემოქმედებისას)
- სამედიცინო მასაჟის საშუალებები: ხელსმა, სრესა, თელვა, დარტყმითი ილეთები, რხევები (ბერტყვა, შერხევა, ვიბრაცია), პასიური მოძრაობები
- კინეზოთერაპიის ძირითადი საშუალებები: საერთოგანმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშები (იდიომოტორული, იზომეტრული, პასიური, პოსტურული, მაკორეგირებელი, სუნთქვითი, რელაქსაციური და სხვ.)
- კინეზოთერაპიის ფორმები: პროცედურა - ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობა; მექანოთერაპია, შრომითი თერაპია, კინეზო-ბალნეოთერაპია, ტერენკური, რაიტთერაპია, დამოუკიდებელი ვარჯიში; ასევე - მოძრაობის რეჟიმები: წოლითი, პალატის, დაზოგვითი-წვრთნის და საწვრთნელი
- სამედიცინო მასაჟის კაბინეტის მოწყობა: სამასაჟო ოთახის ფართობი, გარემო სან-ჰიგიენური წესების დაცვით, სამასაჟო ტახტების ფორმა (ზომა, სიმაღლე); სამასაჟო ზეთები, საცხები და მალამოები; სპეციფიური აპარატურა (ვიბრომასაჟორები, ვაკუმმასაჟორები და სხვა
- ანტიცელულიტური, თაფლით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის სახეების ჩატარება პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟის მეთოდები
- ურთიერთობის ფსიქოლოგია
- გაცნობიერებული აქვს სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნები და ამოცანები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეუძლია: • წაიკითხოს დიაგნოზი ლათინურ ენაზე და გაიცნოს პაციენტის კლინიკური მდგომარეობა

- არტერიული წნევის გაზომვა, პულსისა და სუნთქვის დათვლა;• პერკუსია და პალპაცია
- ტალახის, პარაფინის აპლიკაციის დადება
- მასაჟისადმი ტოლერანტობის ნიშნების გამოკვლევა
- პირველადი დახმარების აღმოჩენა
- სამკურნალო მასაჟის მეთოდების გამოყენება სხვადასხვა პროფილის დაავადებით პაციენტთა რეაბილიტაციაში (ექიმის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შესაბამისად)
- კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთების გამოყენება სქოლიოზისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სხვა დეფორმაციისა და დაზიანების მქონე პაციენტების მკურნალობა-რეაბილიტაციაში
- ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარება
- სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდების გამოყენება

დასკვნის უნარი:

უნარი შესწევს:

- დროულად ამოიციოს პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი
- ამოიციოს დაავადების რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები; გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად მეორადი პროფილაქტიკის ღონისძიებების ჩატარებაში.

კომუნიკაციის უნარი:

შეუძლია: • უცხოურ ენაზე აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება;

- კომუნიკაცია პაციენტთან, მის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან
- სხვისი საუბრის მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება
- შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში

სწავლის უნარი:

ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია: • ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი

- ცოდნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე
- მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

ღირებულებები:

- იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს; იცავს სანიტარულ ნორმებს
- იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს პაციენტისა და კოლეგების მიმართ არის კეთილგანწყობილი

ცოდნა და გაცნობიერება:

იცის: • მასაჟის ტრადიციული და კლასიკური ტექნიკების გამოყენება;

- იცის კინეზოთერაპიის, მანუალური თერაპიის, აკუპრესურის საშუალებები;
- შეცდომების გარეშე პროცედურების ჩატარება რეაბილიტაციის ჰოსპიტალურ ფაზაში რთულ პაციენტებთან (ინფარქტი, ინსულტი, ბავშვთა ცერებრალური დამბლები და სხვა);
- არასპეციფიკური და სპეციფიკური საშუალებების რაციონალურად გამოყენება, რათა გაუმჯობესდეს ექსტრაკარდიალური ჰემოდინამიკური ფაქტორების ფუნქცია და მიიყვანოს პაციენტის კლინიკური და ფუნქციური მდგომარეობა რეაბილიტაციის შემდეგ-კონვალესცენტურ ფაზაში გადასაყვანად.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეუძლია: • რთული დაავადების მკურნალობა სამკურნალო მასაჟის.

პროცედურებით: •სკოლებში და საბავშვო ბაღებში სუსტი ჯანმრთელობისა და• ჯანმრთელი ბავშვების სწორი ტანდებობის ჩამოყალიბების მიზნით შესაბამისი პროცედურების ჩატარება ;

- ჰიდრომასაჟი, მარკო, წყალქვეშა და მშრალი გაჭიმვის მეთოდების ჩატარება;
- ახალშობილ ბავშვთა გამაჯანსაღებელი და სამკურნალო მასაჟის პროცედურების ჩატარება კინეზოთერაპიის საშუალებების გამოყენებით;
- შეაფასოს პაციენტის დიაგნოზის კლინიკური გამოვლინებები და შეადგინოს მკურნალობის კონსპექტი პროცედურების ჩამზიდი (მოსამზადებელი), ძირითადი და დასკვნითი ნაწილების შინაარსით, დოზირებით, მეთოდური შენიშვნებით, და კონცენტრაციით იმ სპეციფიურ (დიფერენციულ) ილეთებზე, რომლებიც ალიმიტირებენ ოპტიმალურ სამკურნალო შედეგს;
- შეარჩიოს და რაციონალურად გამოიყენოს, გარდა კლასიკური მასაჟის ილეთებისა, კინეზოთერაპიის, აკუპრესურის და მანუალური თერაპიის ხერხები;
- საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გადასცეს დაბალი საფეხურის მასაჟისტს, მომარგებულს სამუშაო ადგილზე, შეასწავლოს დიფერენციული მეთოდები პრაქტიკულად ჩატარებულ პროცედურებზე დასწრების დროს.

დასკვნის უნარი:

შეუძლია: •დამოუკიდებლად გააკეთოს დასკვნა და მიმართოს პრობლემის გადაჭრის გზებს;

- სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის ამორჩევა, გაანალიზება და გამოყენება;
- ექიმი-რეაბილიტოლოგის შენიშვნების გათვალისწინება
- საჭიროების შემთხვევაში საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და დაცვა; პრობლემურ ან ფორსმაჟორულ სიტუაციაში შეუძლია მიზეზშედეგობრივი აზროვნება;
- გადაწყვეტილების ეფექტურად და სწრაფად მიღება;
- პაციენტის ინდივიდუალური მდგომარეობის შესაბამისად მანიპულაციების სწორად შერჩევა და ჩატარება;
- საჭიროების შემთხვევაში ექიმი-რეაბილიტოლოგის ინფორმირება.

კომუნიკაციის უნარი:

შეუძლია: •აუცილებელი დოკუმენტაციის- შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის გამოყენება;

- ურთიერთობის წარმართვა პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, მედპერსონალთან;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მასზე დაკისრებული სამუშაოს შესასრულებლად;
- ქართულ და უცხო ურ ენებზე პროფესიული ინფორმაციის მოძიება,დამუშავება და ანგარიშის წარდგენა;
- გაუზიაროს, გადასცეს და შეაფასოს ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებში.

სწავლის უნარი:

შეუძლია: • აუცილებელი დოკუმენტაციის- შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის გამოყენება;

- ურთიერთობის წარმართვა პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, მედპერსონალთან;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მასზე დაკისრებული სამუშაოს შესასრულებლად;
- ქართულ და უცხო ურ ენებზე პროფესიული ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანგარიშის წარდგენა;
- გაუზიაროს, გადასცეს და შეაფასოს ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებში.

სწავლის უნარი:

შეუძლია: წყაროს მითითებით ინფორმაციის მოპოვება;

- შემდგომი სწავლის შესაძლებლობების ამოცნობა;
- გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად მიღება;
- პროფესიულ განვითარებას საკუთარი სწავლის დაგეგმვა, ტრენინგების, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების, მასტერ- კლასების საშუალებით დახელოვნება.

ღირებულებები:

- იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს და მოქმედებს მათ შესაბამისად;
- იცავს სანიტარიულ ნორმებს;
- პროფესიული პრობლემის წამოჭრისას პასუხისმგებლობით ეკიდება საკითხს;
- კრიტიკული სიტუაციის დროს არ კარგავს კეთილგანწყობას პაციენტის მიმართ.

კოლეჯში მიღებული განათლების აღიარება და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება ხდება სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და ამ პროგრამის შესაბამისი კრედიტების დაგროვების შემთხვევაში. სტუდენტს კრედიტი ენიჭება პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში (მეცადინეობებსა და გამოცდებზე) მიღებული ქულებით.

ყველა დისციპლინაში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. სემესტრის მანძილზე სტუდენტები აბარებენ შუალედურ გამოცდებს ზეპირი ან წერილი ფორმით.

საბოლოო შეფასების გამოყვანისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კომპონენტები:

ა) ლექციაზე აქტიურობა

ბ) შუალედური შეფასებები

დ) საბოლოო გამოცდა მაქსიმალური საბოლოო შეფასება 100 ქულა.

დადებითი შეფასება:

- * (A)- ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91–100 %
- * (B)- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81–90%
- * (C)- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71–80%
- * (D)- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61–70 %
- * (E)- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 %

უარყოფითი შეფასება: * (Fx)- ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41–50 %, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობისთვის დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. (F)- ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 %-ზე ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების მეთოდი: ტესტი, ზეპირი გამოკითხვა, ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი, დაკვირვება და დემონსტრირება

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში არანაკლებ 10 დღისა.

სტუდენტს კრედიტი მიენიჭება ქულების 51%-დან 100%-მდე დაგროვების შემთხვევაში.

სწავლების მეთოდები:

- თეორიული სწავლება (ლექცია, სემინარი, დისკუსია, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება).
- პრაქტიკული მეცადინეობა (დემონსტრირებით სწავლება, ინსტრუქტაჟი, კონსულტირება, ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები. საწარმოო პრაქტიკა